

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №48
2018 წლის 25 დეკემბერი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში (ვებგვერდი, 01/01/2018, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016233) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	10,249,918	9,660,401	589,517	10,123,486	10,123,486	0	11,080,400	11,080,400	0
გადასახადები	716,805	716,805	0	884,100	884,100	0	904,000	904,000	0
გრანტები	8,887,589	8,298,072	589,517	8,952,586	8,952,586	0	9,497,200	9,497,200	0
სხვა შემოსავლები	645,525	645,525	0	286,800	286,800	0	679,200	679,200	0
ხარჯები	5,074,968	5,057,055	17,913	5,870,440	5,870,440	0	5,757,427	5,757,427	0
შრომის ანაზღაურება	2,552,056	2,552,056	0	2,321,200	2,321,200	0	2,791,570	2,791,570	0
საქონელი და მომსახურება	961,169	953,070	8,099	1,223,390	1,223,390	0	1,335,120	1,335,120	0
პროცენტი	0	0	0	0	0	0	25,600	25,600	0
სუბსიდიები	647,116	638,502	8,614	721,500	721,500	0	887,914	887,914	0
გრანტები	278,700	278,700	0	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	189,677	189,677	0	206,200	206,200	0	283,998	283,998	0
სხვა ხარჯები	446,249	445,049	1,200	1,398,150	1,398,150	0	433,225	433,225	0



საოპერაციო სალდო	5,174,950	4,603,346	571,604	4,253,046	4,253,046	0	5,322,973	5,322,973	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,898,414	4,194,720	703,694	4,585,816	4,585,816	0	5,558,072	5,558,072	0
ზრდა	4,918,890	4,215,196	703,694	4,610,816	4,610,816	0	5,573,072	5,573,072	0
კლება	20,476	20,476	0	25,000	25,000	0	15,000	15,000	0
მთლიანი სალდო	276,536	408,626	-132,090	-332,770	-332,770	0	-235,099	-235,099	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	234,625	366,715	-132,090	-372,570	-365,803	-6,767	-312,599	-312,599	0
ზრდა	366,715	366,715	0	5,200	5,200	0	10,400	10,400	0
ვალუტა და დეპოზიტები	366,715	366,715	0	0	0	0	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0	0	5,200	0	10,400	10,400	0
კლება	132,090	0	132,090	377,770	371,003	6,767	322,999	322,999	0
ვალუტა და დეპოზიტები	132,090	0	132,090	377,770	371,003	6,767	322,999	322,999	0
ვალდებულებების ცვლილება	-41,911	-41,911	0	-39,800	-33,033	-6,767	-77,500	-77,500	0
ზრდა	0			0			0		
კლება	41,911	41,911	0	39,800	33,033	6,767	77,500	77,500	0
საშინაო	41,911	41,911	0	39,800	33,033	6,767	77,500	77,500	0
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	10,270,394	9,680,877	589,517	10,148,486	10,148,486	0	11,095,400	11,095,400	0
შემოსავლები	10,249,918	9,660,401	589,517	10,123,486	10,123,486	0	11,080,400	11,080,400	0
არაფინანსური აქტივების კლება	20,476	20,476	0	25,000	25,000	0	15,000	15,000	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0			0			0		
ვალდებულებების ზრდა	0			0			0		
გადასახდელები	10,035,769	9,314,162	721,607	10,526,256	10,519,489	6,767	11,418,399	11,418,399	0
ხარჯები	5,074,968	5,057,055	17,913	5,870,440	5,870,440	0	5,757,427	5,757,427	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,918,890	4,215,196	703,694	4,610,816	4,610,816	0	5,573,072	5,573,072	0
ფინანსური აქტივების	0	0	0	5,200	5,200	0	10,400	10,400	0



ზრდა									
ვალდებულებების კლება	41,911	41,911	0	39,800	33,033	6,767	77,500	77,500	0
ნაშთის ცვლილება	234,625	366,715	-132,090	-377,770	-371,003	-6,767	-322,999	-322,999	0

მუხლი 3. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11 080 400 ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	10,249,918	9,660,401	589,517	10,123,486	10,123,486	0	11,080,400	11,080,400	0
გადასახადები	716,805	716,805	0	884,100	884,100	0	904,000	904,000	0
გრანტები	8,887,589	8,298,072	589,517	8,952,586	8,952,586	0	9,497,200	9,497,200	0
სხვა შემოსავლები	645,525	645,525	0	286,800	286,800	0	679,200	679,200	0

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 904 000 ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	716,805	716,805	0	884,100	884,100	0	904,000	904,000	0
საშემოსავლო გადასახადი	194,238	194,238	0	345,300	345,300		351,000	351,000	0
ქონების გადასახადი	522,566	522,566	0	538,800	538,800	0	553,000	553,000	0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	462,647	462,647	0	506,800	506,800		521,000	521,000	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	849,390	849	0	2,000	2,000		2,000	2,000	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,489,710	2,490	0	0,000	0		0		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	56,581	56,581	0	30,000	30,000		30,000	30,000	

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9 497 200 ლარის ოდენობით



დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	8,887,589	8,298,072	589,517	8,952,586	8,952,586	0	9,497,200	9,497,200	0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0	0	0	0			0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	3,941,720	3,941,720	0	3,000,000	3,000,000	0	4,959,000	4,959,000	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	520,852,000	520,852	0	1,809,986	1,809,986	0	0		0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4,425,017	3,835,500	589,517	4,142,600	4,142,600	0	4,538,200	4,538,200	0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,835,500	3,835,500	0	4,142,600	4,142,600		4,538,200	4,538,200	
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,835,500	3,835,500	0	4,142,600	4,142,600		4,538,200	4,538,200	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	589,517	0	589,517	0	0	0	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	589,517		589,517	0		0	0		
მ.შ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0			0	0	0	0	0	0
მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0			0			0		

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 679 200 ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	645,525	645,525	0	286,800	286,800	0	679,200	679,200	0
შემოსავლები საკუთრებიდან	534,973	534,973	0	153,300	153,300	0	485,800	485,800	0
პროცენტები	26,043	26,043	0	41,000	41,000	0	25,000	25,000	0
დეპოზიტებიდან ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	26,043	26,043	0	41,000	41,000		25,000	25,000	
რენტა	508,930	508,930	0	112,300	112,300	0	460,800	460,800	0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	507,891	507,891	0	107,000	107,000		459,000	459,000	
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა)	1,039	1,039	0	5,300	5,300		1,800	1,800	



და სხვა) გადაცემიდან									
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	25,014	25,014	0	33,400	33,400	0	31,400	31,400	0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	23,994	23,994	0	21,000	21,000	0	17,800	17,800	0
სანებართვო მოსაკრებელი	1,692	1,692	0	1,000	1,000	0	1,400	1,400	0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	1,692	1,692	0	0			1,400	1,400	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადაადგების მოსაკრებელი	0	0	0	0	0	0	400	400	0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	22,302	22,302	0	20,000	20,000		16,000	16,000	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1,020	1,020	0	12,400	12,400	0	13,600	13,600	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,020	1,020	0	12,400	12,400		13,600	13,600	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	28,108	28,108	0	37,000	37,000		52,000	52,000	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	57,430	57,430	0	63,100	63,100		110,000	110,000	

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
 განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 731 827 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	4,796,268	4,778,355	17,913	5,870,440	5,870,440	0	5,731,827	5,731,827	0
შრომის ანაზღაურება	2,552,056	2,552,056	0	2,321,200	2,321,200	0	2,791,570	2,791,570	0
საქონელი და მომსახურება	961,169	953,070	8,099	1,223,390	1,223,390	0	1,335,120	1,335,120	0
პროცენტი	0	0	0	0	0	0	0	0	0
სუბსიდიები	647,116	638,502	8,614	721,500	721,500	0	887,914	887,914	0
სოციალური უზრუნველყოფა	189,677	189,677	0	206,200	206,200	0	283,998	283,998	0
სხვა ხარჯები	446,249	445,049	1,200	1,398,150	1,398,150	0	433,225	433,225	0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5 573 072 ლარის ოდენობით, მათ შორის:
 ა) განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5 558 072 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	73,297	73,297	0	98,400	98,400	0	46,500	46,500	0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,019	1,019	0	700	700	0	0	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4,328,206	3,624,513	703,694	4,231,816	4,231,816	0	4,484,802	4,484,802	0
განათლება	326,453	326,453	0	167,400	167,400	0	716,100	716,100	0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	112,464	112,464	0	112,500	112,500	0	123,270	123,270	0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	77,451	77,451	0	0	0	0	202,400	202,400	0
სულ ჯამი	4,918,890	4,215,196	703,694	4,610,816	4,610,816	0	5,573,072	5,573,072	0

ბ) განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 15 000 ლარის ოდენობით, მათ შორის

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	20,476	20,476	0	25,000	25,000	0	15,000	15,000	0
ძირითადი აქტივები	11,393	11,393	0	25,000	25,000	0	15,000	15,000	0
არაწარმოებული აქტივები	9,083	9,083	0	0	0	0	0	0	0
მიწა	9,083	9,083	0	0	0	0	0	0	0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 11 330 499 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის დასახელება	2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	



კოდი		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,061,603	2,061,603	0	1,839,600	1,839,600	0	1,986,128	1,986,128	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,780,132	1,780,132	0	1,839,600	1,839,600	0	1,960,328	1,960,328	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,780,132	1,780,132	0	1,729,600	1,729,600	0	1,890,328	1,890,328	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	0	110,000	110,000	0	70,000	70,000	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	0	0	0	0	0	25,800	25,800	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	281,471	281,471	0	0	0	0	0	0	0
702	თავდაცვა	57,092	57,092	0	56,800	56,800	0	60,400	60,400	0
7021	სამოქალაქო თავდაცვა	57,092	57,092	0	56,800	56,800	0	60,400	60,400	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0	0	0	0	0	0	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0	0	0	0	0	0	0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0	0	0	0	0	0	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	879,280	879,280	0	475,000	475,000	0	803,700	803,700	0
7042	სოფლის მეურნეობა,სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0	0	0	0	0	0	11,400	11,400	0
70421	სოფლის მეურნეობა	0	0	0	0	0	0	11,400	11,400	0
7043	სათბობი და ენერგეტიკა	0	0	0	0	0	0	0	0	0
70432	ნავთობი და ბუნებრივი აირი	0	0	0	0	0	0	0	0	0
7045	ტრანსპორტი	879,280	879,280	0	475,000	475,000	0	792,300	792,300	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი	879,280	879,280	0	475,000	475,000	0	792,300	792,300	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0	0	0	0	0	0	0	0	0
705	გარემოს დაცვა	37,131	37,131	0	0	0	0	47,800	47,800	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0	0	0	0	0	0	0	0	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0	0	0	0	0	0	0	0	0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	37,131	37,131	0	0	0	0	47,800	47,800	0
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	3,912,703	3,191,097	721,607	5,005,256	5,005,256	0	4,553,913	4,553,913	0
7062	კომუნალური მეურნეობის	388,713	388,713	0	2,517,346	2,517,346	0	2,724,700	2,724,700	0



	განვითარება									
7063	წყალმომარაგება	1,428,609	1,419,995	8,614	823,100	823,100	0	694,094	694,094	0
7064	გარე განათება	0	0	0	50,000	50,000	0	0	0	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2,095,382	1,382,389	712,993	1,614,810	1,614,810	0	1,135,119	1,135,119	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	179,868	179,868	0	272,300	272,300	0	567,278	567,278	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	179,868	179,868	0	272,300	272,300	0	567,278	567,278	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,141,051	1,141,051	0	842,700	842,700	0	954,530	954,530	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	588,538	588,538	0	304,900	304,900	0	265,000	265,000	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	535,214	535,214	0	537,800	537,800	0	689,530	689,530	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	0	0	0	0	0	0	0	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	17,300	17,300	0	0	0	0	0	0	0
709	განათლება	1,524,382	1,524,382	0	1,879,800	1,879,800	0	2,213,060	2,213,060	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	947,627	947,627	0	1,085,300	1,085,300	0	1,226,200	1,226,200	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	576,754	576,754	0	794,500	794,500	0	986,860	986,860	0
710	სოციალური დაცვა	200,745	200,745	0	109,800	109,800	0	143,690	143,690	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	18,893	18,893	0	16,800	16,800	0	16,790	16,790	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	181,852	181,852	0	93,000	93,000	0	126,900	126,900	0
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		9,993,858	9,272,251	721,607	10,481,256	10,481,256	0	11,330,499	11,330,499	0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 235 099 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 312 599 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 77 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი **70000** ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული და კულტურული პროგრამები

სპორტულ და კულტურულ პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. პრემიები

2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა

2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება(პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქედის მუნიციპალიტეტი ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

1.1 სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური(პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქედის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნების, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გარდა ამისა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მისი ექსპლუატაციის ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტის სოფლებში 600 კმ-ზე მეტი საუბნო საავტომობილო გზაა, რომელთაც მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა 30% ანუ 7000-მდე ბენეფიციარი სარგებლობს, ხშირ შემთხვევებში აღნიშნული გზები არ არის აჭარის საგზაო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში, ამიტომ რჩება მოუვლელი და ხშირად გაუვალი ხდება, საჭიროა აღნიშნული გზების საფარის აღდგენა და სხვა საგზაო სამუშაოების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების გაწმენდითი სამუშაოები და დამატებით ახალი გზების შეყვანა. გაგრძელდება ასევე შიდა სასოფლო საუბნო გზების რეაბილიტაცია, მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაკიდული ხიდების რეაბილიტაცია.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის დაფინანსება და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, გაგრძელდება დაბისა და თემების ცენტრების დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება და უზრუნველყოფილი იქნება მაწანწალა ცხოველებისაგან დაცვის ღონისძიებები. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემას, ასევე განხორციელდება საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ნაგვის შემგროვებელი ურნების შეძენა.

2.2.1 შპს ქედის კომუნალურსერვისი (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის- 1300 წერტილის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადღესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა.



მუნიციპალიტეტში ერთერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 16 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მაწანწალა ცხოველების თავმოყრა დაბასა და თემების ცენტრებში სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება და შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება.

2.2.2 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პირობითი კოდი 03 02 04)

მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ქედის წყალკანალი, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. სულ მუნიციპალიტეტში 12 მაგისტრალია და საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს დასრულდება გეგელიძეების წყალსადენის რეაბილიტაცია, ზენდიდისა და ცხემნის წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქოსოსფლის წყლის სისტემის მშენებლობა, კორომხეთი-კოლოტაურის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, სოფელ ორცვაში ქაჯაებისა და კაკაბაძეების უბანში 18 ოჯახზე სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა.

2.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდება დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, ოქტომბერი, დაბა ქედა მერისი, პირველი მაისი, მახუნცეთი, დოლოგანი), ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, სოფელ პირველ მაისში ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, გაგრძელება აწესის ტერიტორიის კეთილმოწყობა და დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთების ღონისძიებები.

2.2.4 მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება (პროგრამული კოდი 03 04)

აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ, გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

2.4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 07 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული მ/ფ პირუტყვის ვაქცინაცია იმ დაავადებებზე, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებით არ ხორციელდება. ეს დაავადებებია პასტერელოზი და ემკარი. ამ დაავადებებით მიყენებული ეკონომიკური ზარალი კი ძალიან დიდია. პასტერელოზითაა ემკარით ავადდება ძირითადად ახალგაზრდა, მაღალპროდუქტიული და საუკეთესო შეხორცების მქონე მსხვილფეხა პირუტყვი. დაავადების რისკი დიდია იმ ცხოველებში, რომლებიც გადიან საზაფხულო საძოვრებზე, სადაც არის ამ დაავადებების კერები. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ფერმერთა არცოდნის და გამოუცდელობის გამო დაავადების კერები გაჩნდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლებში. რის შედეგადაც ყოველწლიურად იღუპება ახალგაზრდა, მაღალპროდუქტიული ცხოველები, ამიტომ მუნიციპალიტეტში შემუშავდა აღნიშნული პროგრამა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

2.5 ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 07 01 02)

წყლის რესურსები, რომლის სიუხვითაც მდიდარია აჭარის რეგიონი და განსაკუთრებით ქედის მუნიციპალიტეტი, საჭიროებს ამ რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რადგან ის დატვირთვა, როგორც ეს რესურსები ამჟამად გამოიყენება, არ არის რენტაბელური არც ფერმერისათვის და არც ადგილობრივი



ეკონომიკისათვის. თევზსაშენ საწარმოში აუცილებელია ჰიდროინჟინრის რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოფილი იქნას წყალმომარაგების ოპტიმალურობა და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკები. რეგიონში დაგეგმილი დარგის განვითარებისათვის მიმართული სხვადასხვა საქმიანობებიდან ერთ-ერთი მთავარია ადგილობრივი თევზმწარმოებლების ცნობიერების დონის ამაღლება წყლის ეფექტური გამოყენების საკითხებზე, რათა მათ მიერ მოხდეს გამოყენებული წყლის რესურსების აქტიური, მიზანმიმართული და გაუმჯობესებული ხარისხით გამოყენება, რომელიც გამოადგება როგორც მოქმედ საწარმოებს ასევე დამწყებ ფერმერებს თევზმოშენების მიმართულებით.

3. განათლების დაწესებულებები და ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება ასევე სკოლამდელ განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1.1 ა.ა.ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, რომელიც მოიცავს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კვება, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.1.2 ბაგა ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია და ინვენტარის შეძენა (პროგრამული კოდი 04 01 02)

ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა მაქსიმალურად ჩართვის და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს დაგეგმილია მერისის ბაგა ბაღის კეთილმოწყობა, ხარაულის ბაგა ბაღის კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტში არსებულ ბაგა-ბაღებში ეზოების კეთილმოწყობა და ატრაქციონების შეძენა ასევე გაგრძელდება მახუნცეთის თემის ადმინისტრაციული შენობის და ზუნდაგის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია.

4. კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

სპორტის განვითარება და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა და არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1 ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დაფინანსება რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 7 სექცია (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, კინგბოქსი და ფრენბურთი), სადაც სწავლება უფასოა და 270-მდე ბავშვია სხვა სპორტულ სახეობებში ჩაბმული.

4.1.2 სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

2018 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში 950-მდე მონაწილე 50 ადგილობრივ და რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობას. ღონისძიებების ჩატარების პერიოდში აუცილებელია გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით თასებით, მედლებით, დიპლომებით, და სხვა ფასიანი საჩუქრებით, აგრეთვე ფულადი საჩუქრებით. დასაჩუქრდებიან წლის წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

4.1.3 სარაგბო კლუბის მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 04)



ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს სარაგბო კულბ „ფირალების“ მხარდაჭერა. კერძოდ მორაგბეთა ხელფასები, ტრანსპორტირების დაფინანსება, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, შეკრებების ორგანიზება.

4.1.4 მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რითაც მოწესრიგდება სპორტული ინფრასტრუქტურა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროს ქსელის გაფართოება, არსებულის რეაბილიტაცია და თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. ცალკეულ თემებში და დაბაში კულტურის ახალი კერების შექმნა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

4.2.1 ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქედის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს რეწვის და თექის წრეები, რომელშიც 58 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა. თექისა და რეწვის წრეებისათვის შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

4.2.2 ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ა.ა.ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლა სამი სექციით შემოიფარგლება კერძოდ: 1) საფორტეპიანო. 2) საორკესტრო და 3) ქორეოგრაფიული რომლებშიც სწავლა განათლებას 187 მოსწავლე ღებულობს. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

4.2.3 ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი დაარსდა 1999 წელს, სადაც თავმოყრილია და გამოფენილია ათასამდე ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატი.საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიური ეთნოგრაფიული, ისტორიული, ხეუკვეთილობის ნიმუშები და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი ქვის ჩაქუჩები და შურდულის ქვები , ასევე მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები, რომლებიც ადგილობრივი რეწვის ოსტატობის ნიმუშებს წარმოადგენს. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 2000-დან 3000-მდე მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი ყოველივე, აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციის ხარჯებს.

4.2.4 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შობა-ახალი წლის დღესასწაულის, სხვა ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა, რაიონის და საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყნის ენერგიული, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა; ქედელობისა და მერისლობის დღესასწაულების ღირსეულად აღნიშვნა; რაიონის წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სტიმულირება შემდგომი მუშაობისათვის, საინტერესო პროექტების ხელშეწყობა; იმ ადამიანების წარმოჩენა, რომელთაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დააჩინა ქედის ისტორიას; სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების პოპულარიზაცია; კონცერტების ორგანიზება ქართული ანსამბლების და ინდივიდუალური მომღერლების მონაწილეობით და სხვა კულტურული ღონისძიებები.

4.2.5 გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობასა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული



შეღვათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.1 ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღვათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება

5.1.1. ეპილევსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 01)

ეპილევსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილევსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტი ეპილევსიური მედიკამენტების სისტემატიური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით.

ამ ასპექტის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი მე-4 წელია ახორციელებს ეპილევსიით დაავადებულთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამას, რომლითაც 80 ბენეფიციარი სარგებლობს.

5.1.2. ამბულატორიული მომსახურეობის პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 02)

მუნიციპალიტეტის თემის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების დროული აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 9 ამბულატორიის ტრანსპორტითა და ამბულატორიების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებით უზრუნველყოფა.

5.1.3 სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიზნობრივი პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 03)

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამის ამოქმედებით სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი.

5.1.4 თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის (პირობითი კოდი 06 01 04)

ქედის მუნიციპალიტეტიდან აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამბულატორიულ აღრიცხვაზეა 585-მდე პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს 130 პაციენტი ანუ პაციენტთა საერთო რაოდენობის 22-23-%, ხოლო თვის განმავლობაში 50-60 პაციენტი, ანუ საერთო რაოდენობის მხოლოდ 10-11%, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე, შეუძლებელია, სწორედ, ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში, მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს

5.1.5 ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის (პირობითი კოდი 06 01 05)

პროექტი საქართველოში პირველად აჭარაში დაინერგა ეს არის განგაშის შეტყობინების ყელსაკიდები, რომელიც დაურიგდა 9 ბენეფიციარს და ის სრულად პასუხობს იმ აუცილებელ მოთხოვნას, რომელიც გააჩნიათ მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცებს, ვინაიდან ისინი ხშირად საჭიროებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და ცხოვრობენ რაიონიდან მოშორებით, ხშირად უჭივიან სამედიცინო ეკიპაჟის დაგვიანებით მისვლას ან ზოგ შემთხვევაში (ტელეფონის არ ქონის, გონების დაკარგვის და სხვა) საერთოდ ვერ ახერხებენ გამოძახებას და ხშირად დაგვიანებული დახმარება ლეტალური შედეგების მიზეზი ხდება. ამიტომ ამ აპარატის საშუალებით მათ შეუძლიათ მასში წინასწარ მითითებული 5 ნომრიდან (რომლის თანმიმდევრობაც გონივრულად და შეთანხმებულად არის ჩაპროგრამებული) თითის 1 დაჭერით გამოიძახონ, ამ ეტაპზე 1) მეზობელი, 2) მოხალისე 3) სოფლის ექიმი,) ამ აპარატის საშუალებით მოხუცები დაცულები არიან კრიმინალისაგან და სტიქიური მოვლენების დროს უმწეობის მიზეზით ტრაგიკული შედეგებისაგან.

ვინაიდან 2016 წელს დაწყებული პროექტი იყო საპილოტე, რომელსაც ახორციელებდა დახმარების ეროვნული ფონდი. პროექტი რადგან იყო საცდელი და ის ჯერ ისევ საჭიროებს გაგრძელებასა და მხარდაჭერას ძალიან



მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდა და თანადაფინანსების უზრუნველყოფა.

5.1.6 პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 06)

პარკინსონი თავის ტვინის ქრონიკული პროგრესირებადი დაავადებაა, რასაც ახასიათებს კიდურების უნებლიე მოძრაობა, კუნთების რიგიდობა, კოორდინაციის და მეტყველების დარღვევა, გადაადგილების გაძნელება. ეს სიმპტომები ვითარდება 60 წლის შემდეგ, თუმცა ცნობილია შემთხვევები 50 წლის ქვემოთ ასაკშიც. დროთა განმავლობაში აღნიშნული დაავადების სიმპტომები მწვავედ და მძიმედ, რისთვისაც მიმართავენ მედიკამენტოზურ მკურნალობას. პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ბენეფიციარი, რომელიც არის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (პირობითი კოდი 06 02 01)

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში უმწეოთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ქედაში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 23 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. ამ კატეგორიის მოქალაქეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული “სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში” და მიენიჭათ 70 000-მდე სარეიტინგო ქულა.

მიმდინარე პროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიდადში 364 დღის) განმავლობაში.

5.2.2 ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება. (პირობითი კოდი 06 02 02)

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს, კერძოდ ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს, ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უკვდავყოფის, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას და გარკვეული ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას. პროგრამას არეგულირებს 1995 წლის „ომისა და შეარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა ბ“ პუნქტები, მე-21 მუხლის „1,2,3“ პუნქტები და 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“.

5.2.3 ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა (პირობითი კოდი 06 02 04)

